ხაშურის მოამბე

№39 (70) 11 ოქტომბერი, სამშაბათი, 2016 წელი

არჩევნები დამთავრდა

ხაშურის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტურია

8 ოქტომბერს, საქართველოში, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1814276-მა ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 51,63%-ია. ცესკოს წინასწარი, 9 ოქტომბრის, მონაცემებით, ხმათა რაოდენობა ასე განაწილდა: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ –48,61%; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა –27,04%; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 4,99%; „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ – 5,0; „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ –3,55%; „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ –3,45%; „შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია“ –3,12%; „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“ –1,55%; სხვა პარტიები –3,1%. წინასწარი მონაცემებითვე, რეგიონებში 51 მაჟორიტარული ოლქიდან –34 ოლქში, თბილისის 22 მაჟორიტარული ოლქიდან კი – 18 ოლქში არჩევნების მე-2 ტური გაიმართება.

საპარლამენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც, რომელშიც, წინასწარი მონაცემებით, ბარიერი გადალახა ოთხმა პარტიამ: „ქართული ოცნება“ – 42,44%; „ნაციონალური მოძრაობა“ –28,88%; „პატრიოტთა ალიანსი“ –6,52%; „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ –5,85%.

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩატარებულ არჩევნებს, წინასწარი მონაცემებით, ასეთი შედეგებია:

№1. პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის –1265 ხმა (5,46%);

№2. პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა („თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!“– 6 ხმა (0,02%);

№3. ნინო ბურჯანაძე –დემოკრატიული მოძრაობა – 959 ხმა (4,14%);

№4. „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“ – 15 ხმა (0,06%);

№5. ერთიანი ანციონალური მოძრაობა – 5929 ხმა (25,62%);

№6. „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“ –353 ხმა (1,52%);

№7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ – 16 ხმა (0,06%);

№8. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი –1552 ხმა (6,7%);

სიმონ ნოზაძე №19

№10. შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია – 1471 ხმა (6,35%);

№11. „სახალხო ხელისუფლება“ – 16 ხმა (0.06%);

№12. საქართველოს კომუნისტური პარტია – 42 ხმა (0,18%);

№14. დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის – 68 ხმა (0,29%);

№15. მშრომელთა სოციალისტური პარტია – 14 ხმა (0,06%);

№16. „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ – 15 ხმა (0,06%);

№17. „საქართველო“ – 51 ხმა (0,22%);

№18. „ქართული იდეა“ – 43 ხმა (0,18%);

№19. თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო – 1051 ხმა (4,54%);

№22. მერაბ კოსტავას საზოგადოება – 12 ხმა (0,04%);

№23. „ჩვენები – სახალხო პარტია“ – 8 ხმა (0,03%);

№25. კახა ძაგანია – 7 ხმა (0,02%);

№26. „ეროვნული ფორუმი“ – 102 ხმა (0,44%);

№27. ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები – 1338 ხმა (5,78%);

№28. „ზვიადის გზა“-უფლის სახელით –18 ხმა (0,07%);

№30. (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი) – 12 ხმა (0,05%);

№41. „ქართული ოცნება“ – 8779 ხმა (37,94%).

მაჟორიტარობის თოთხმეტ კანდიდატს შორის კი, წინასწარი მონაცემებით, ხმები ასე გადანაწილდა:

№1. გიორგი მოსიაშვილი (საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისათვის”) – 910 ხმა (3,98%);

№3. გიორგი ბერიძე („ნინო ბურჭულაზე – დემოკრატიული მოძრაობა”) – 121 ხმა (2,28%);

№5. როინ მახარობლიძე (საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) – 3977 ხმა (17,39%);

№6. ირინე გელაშვილი („უსუფაშვილი-რესპუბლიკელები”) – 719 ხმა (3,14%)

№8. რამაზ ნოზაძე (საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია”) – 1319 ხმა (5,77%)

№12. გელა ადუაშვილი („საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინელები, ივანე წიკლაური”) – 111ხმა (0,49%)

№14. რევაზ კოშკაძე („დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის”) – 118 ხმა (0,52%);

№17. სოსლან ხაჩიძე („საქართველო”) – 147 ხმა (0,64%);

№19. სიმონ ნოზაძე (საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო”) – 7310 ხმა (31,96);

№26. ზურაბ გელაშვილი („ეროვნული ფორუმი”) – 161 ხმა (0,7%);

№27. დიანა გელაშვილი („ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები”) – 787 ხმა (3,44%);

№28. ბაგრატ მეხრიშვილი („ზვიადის გზა – უფლის სახელით”) – 20 ხმა (0,12%);

№41. ვალერი გელაშვილი („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო”) – 4600 ხმა (20,11%);

№43. პავლე ლაცაბიძე (დამოუკიდებელი კანდიდატი) – 2169 ხმა (9,48%);

ვალერი გელაშვილი №41

როგორც არჩევნებმა აჩვენა, 50%-იანი ბარიერი, ხაშურის მაჟორიტარულ ოლქში, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა. ამიტომ დაინიშნება მეორე ტური. გამარჯვებისთვის ორი კანდიდატი – სიმონ ნოზაძე (№19) და ვალერი გელაშვილი (№41) იბრძოლებენ, რომლებმაც სხვა კანდიდატებზე მეტი ხმები დააგროვეს.

ხაშურის საარჩევნო ოლქში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები (მაჟორიტარული) ცალკეული უბნების მიხედვით

(წინასწარი შედეგები)

უბანი / სუბიექტი	3	5	6	8	12	14	17	19	26	27	28	41	43	ოქმი
43.35.01	23	2	72	9	29	1	0	7	183	1	8	0	86	23	ოქმი
43.35.02	15	8	78	18	23	3	3	3	264	9	22	0	132	25	ოქმი
43.35.03	15	17	68	12	27	4	4	3	219	1	35	0	159	28	ოქმი
43.35.04	19	8	112	23	52	0	2	1	180	4	15	1	120	76	ოქმი
43.35.05	21	7	105	8	51	2	0	0	172	3	13	1	64	40	ოქმი
43.35.06	10	12	88	26	33	4	4	3	274	1	32	0	151	47	ოქმი
43.35.07	15	7	71	10	23	5	2	1	143	4	73	1	111	42	ოქმი
43.35.08	41	4	105	5	12	1	1	2	98	0	5	1	92	20	ოქმი
43.35.09	6	17	103	14	25	2	2	1	153	5	16	0	145	59	ოქმი
43.35.10	6	18	78	21	17	4	4	1	162	3	24	0	100	32	ოქმი
43.35.11	32	53	81	9	29	10	1	2	154	1	20	0	140	62	ოქმი
43.35.12	21	9	85	10	12	0	3	0	139	3	5	0	35	39	ოქმი
43.35.13	26	8	110	17	30	0	3	4	149	3	19	1	81	76	ოქმი
43.35.14	14	13	71	19	22	2	0	2	139	10	15	0	75	17	ოქმი
43.35.15	21	13	108	39	20	1	1	2	80	4	28	0	61	14	ოქმი
43.35.16	20	7	87	32	30	2	4	11	102	1	16	1	163	27	ოქმი
43.35.17	18	8	93	22	32	1	3	3	108	2	15	1	88	44	ოქმი
43.35.18	11	7	118	43	42	7	12	29	153	5	12	0	105	54	ოქმი
43.35.19	13	7	106	52	27	2	6	3	146	5	7	0	53	12	ოქმი
43.35.20	17	10	78	43	78	15	10	2	145	3	17	2	99	11	ოქმი
43.35.21	15	7	43	25	40	11	3	3	110	1	29	0	114	42	ოქმი
43.35.22	9	7	41	8	34	2	1	2	66	0	13	0	45	50	ოქმი
43.35.23	10	1	70	8	14	0	2	1	273	0	6	0	96	10	ოქმი
43.35.24	5	5	25	2	2	0	1	2	56	0	3	0	54	5	ოქმი
43.35.25	14	3	66	4	19	2	0	0	153	0	6	0	39	7	ოქმი
43.35.26	12	44	110	8	20	2	7	7	221	5	11	2	104	14	ოქმი
43.35.27	33	5	50	6	11	2	2	3	88	15	4	0	34	9	ოქმი
43.35.28	103	2	55	21	30	0	0	3	239	2	0	0	100	45	ოქმი
43.35.29	14	2	105	15	13	1	0	2	68	24	14	1	99	16	ოქმი
43.35.30	9	4	35	1	16	1	1	0	316	3	10	0	68	21	ოქმი
43.35.31	17	1	31	1	8	0	1	1	174	1	3	0	29	2	ოქმი
43.35.32	22	31	79	9	38	2	3	5	118	1	9	0	151	84	ოქმი
43.35.33	29	14	95	5	63	1	4	1	96	1	25	0	120	85	ოქმი
43.35.34	16	19	95	5	41	1	2	5	161	7	19	0	103	32	ოქმი
43.35.35	20	4	90	9	35	2	2	3	125	1	19	0	81	24	ოქმი
43.35.36	4	3	35	5	6	0	1	1	29	0	4	0	81	294	ოქმი
43.35.37	22	4	61	20	17	0	0	0	77	3	7	0	81	4	ოქმი
43.35.38	7	2	46	7	7	0	1	1	82	0	8	0	38	1	ოქმი
43.35.39	22	16	80	10	7	2	0	0	59	1	14	1	43	29	ოქმი
43.35.40	0	2	8	1	1	0	1	0	8	1	1	0	14	1	ოქმი
43.35.41	1	2	10	6	2	0	0	0	24	1	1	0	23	2	ოქმი
43.35.42	11	28	90	9	26	0	3	3	213	0	22	0	98	68	ოქმი
43.35.43	17	11	95	17	49	3	4	3	257	2	16	1	110	63	ოქმი
43.35.44	9	5	65	10	39	2	2	7	145	3	14	1	50	19	ოქმი
43.35.45	11	7	132	13	19	2	5	2	216	2	14	1	133	30	ოქმი
43.35.46	13	14	103	8	14	1	2	6	163	4	20	0	118	28	ოქმი
43.35.47	24	7	90	12	28	2	3	2	100	2	13	0	140	15	ოქმი
43.35.48	42	11	112	19	20	1	1	1	93	9	36	0	88	77	ოქმი
43.35.49	10	14	76	10	49	0	0	0	130	1	13	0	83	68	ოქმი
43.35.50	11	6	93	8	21	3	0	1	134	2	22	4	69	77	ოქმი
43.35.51	10	3	40	4	7	1	0	1	117	0	7	0	82	8	ოქმი
43.35.52	4	2	34	1	9	1	1	1	36	1	7	0	52	191	ოქმი

ხაშურის საარჩევნო ოლქში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები (პროპორციული) ცალკეული უბნების მიხედვით

(წინასწარი შედეგები)

უბანი \ სუბიექტი	2	3	4	5	6	7	8	10	11	12	14	15	16	17	18	19	22	23	25	26	27	28	30	41	ოქმი
43.35.01	22	0	15	0	111	6	0	31	34	2	0	2	2	1	1	1	20	0	0	0	1	18	0	0	179	ოქმი
43.35.02	31	0	21	0	125	7	1	36	43	0	3	2	0	0	2	1	24	0	0	0	9	39	1	0	262	ოქმი
43.35.03	25	1	34	0	103	9	3	39	25	0	2	3	0	0	1	1	18	0	0	0	3	32	0	0	299	ოქმი
43.35.04	25	1	25	0	144	14	0	64	45	0	0	2	0	0	0	1	15	0	0	0	2	33	0	0	244	ოქმი
43.35.05	28	0	21	0	134	5	0	51	42	0	0	0	1	0	0	2	12	1	0	0	5	28	1	0	154	ოქმი
43.35.06	26	0	38	1	134	11	0	46	44	1	3	2	0	1	1	0	27	0	0	0	5	58	0	0	289	ოქმი
43.35.07	27	0	32	1	103	6	0	34	29	0	2	1	0	0	0	0	15	1	1	0	1	61	0	0	200	ოქმი
43.35.08	37	0	11	0	126	4	0	20	17	0	1	3	0	0	1	0	12	0	1	0	0	11	0	0	139	ოქმი
43.35.09	20	0	43	0	134	10	0	24	29	0	0	0	0	0	1	0	14	0	0	0	2	25	1	0	251	ოქმი
43.35.10	20	0	25	0	94	14	0	34	32	1	0	1	0	0	0	0	15	0	0	0	4	31	0	0	195	ოქმი
43.35.11	41	0	49	1	139	6	0	45	41	0	1	2	0	0	1	0	18	0	0	0	3	22	1	0	231	ოქმი
43.35.12	24	0	21	0	119	10	0	25	22	0	0	0	0	0	0	0	21	0	0	0	0	14	0	0	103	ოქმი
43.35.13	39	0	14	0	172	6	1	33	37	0	0	1	1	0	0	2	28	0	0	0	4	44	0	1	137	ოქმი
43.35.14	21	0	27	0	97	6	1	28	22	0	0	0	0	0	0	0	29	0	0	0	9	20	0	0	137	ოქმი
43.35.15	24	0	12	0	136	6	0	13	46	1	0	1	0	0	2	1	4	0	0	0	0	95	3	1	107	ოქმი
43.35.16	32	0	18	0	128	15	0	24	26	0	1	2	0	1	7	2	16	1	0	1	1	24	0	0	209	ოქმი
43.35.17	32	0	12	0	130	7	0	36	29	0	0	2	0	1	0	1	15	0	0	0	1	18	0	2	155	ოქმი
43.35.18	25	0	22	1	137	14	1	50	39	0	3	2	0	1	12	1	15	0	0	0	3	32	0	0	239	ოქმი
43.35.19	29	0	22	1	152	15	0	37	24	0	0	4	0	1	0	0	18	0	0	0	3	19	0	0	111	ოქმი
43.35.20	25	0	25	0	108	19	0	64	28	0	7	2	0	1	1	0	14	1	0	0	2	29	0	0	200	ოქმი
43.35.21	34	0	21	0	71	9	0	38	18	0	1	3	1	0	1	2	16	0	0	0	2	38	0	0	193	ოქმი
43.35.22	19	0	14	0	53	3	0	32	24	0	1	1	0	1	0	3	5	1	0	0	0	26	0	2	97	ოქმი
43.35.23	13	0	8	0	153	4	0	15	23	0	3	1	1	0	0	4	57	1	0	0	0	13	0	0	191	ოქმი
43.35.24	9	0	6	0	38	2	0	10	7	1	1	1	0	0	0	0	10	1	0	0	0	7	0	0	70	ოქმი
43.35.25	20	0	8	1	107	4	0	23	18	0	0	0	0	0	0	0	27	0	1	0	0	11	0	0	105	ოქმი
43.35.26	21	1	48	1	172	4	1	27	32	1	1	2	0	1	5	0	39	0	0	0	2	16	0	0	202	ოქმი
43.35.27	38	0	5	0	84	4	1	11	15	0	0	1	1	0	1	0	14	0	0	0	4	9	0	0	78	ოქმი
43.35.28	51	1	12	0	144	14	1	35	69	0	0	1	1	0	0	2	26	0	1	0	0	18	0	0	222	ოქმი
43.35.29	12	0	6	0	142	2	0	8	14	0	0	0	0	0	0	0	11	0	0	0	8	22	1	0	153	ოქმი
43.35.30	11	0	12	0	78	1	1	28	25	2	0	3	0	0	1	2	88	1	0	0	3	15	2	0	192	ოქმი
43.35.31	29	0	5	0	73	2	0	3	17	0	0	0	0	0	0	0	15	0	0	0	0	7	0	0	115	ოქმი
43.35.32	29	0	26	1	117	5	0	31	36	0	2	1	1	1	1	0	19	0	0	0	1	15	0	0	265	ოქმი
43.35.33	42	0	26	1	117	2	1	38	37	0	0	2	0	1	1	0	8	0	0	0	3	39	0	1	222	ოქმი
43.35.34	25	0	28	0	143	3	0	26	47	1	1	1	1	0	3	1	23	1	0	0	4	34	0	1	167	ოქმი
43.35.35	29	0	10	0	127	3	0	30	25	0	1	1	0	0	2	0	23	0	0	0	0	35	1	1	131	ოქმი
43.35.36	15	0	16	0	98	3	1	81	36	2	1	2	0	0	1	0	5	0	1	0	0	27	0	2	204	ოქმი
43.35.37	33	0	7	0	74	0	0	11	12	0	0	0	0	0	0	0	16	0	0	0	0	14	0	0	132	ოქმი
43.35.38	7	0	1	0	78	2	0	0	6	0	0	1	0	0	0	0	30	0	0	0	0	11	0	0	65	ოქმი
43.35.39	23	0	20	2	95	4	0	5	11	1	0	1	1	1	0	0	5	1	0	0	1	10	0	0	107	ოქმი
43.35.40	2	0	1	1	13	0	0	0	3	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	2	0	0	15	ოქმი
43.35.41	2	0	1	0	15	3	0	1	1	0	0	0	0	0	0	0	9	0	0	0	1	1	0	0	35	ოქმი
43.35.42	19	1	40	0	145	15	1	33	34	0	0	0	0	1	1	2	27	0	0	0	0	46	0	0	199	ოქმი
43.35.43	35	1	24	2	149	17	1	67	45	1	3	1	0	0	0	4	37	0	0	0	0	39	0	0	228	ოქმი
43.35.44	9	0	12	0	78	9	0	50	21	0	0	2	0	0	1	0	23	0	0	0	2	33	0	0	130	ოქმი
43.35.45	18	0	17	0	151	7	1	37	24	0	0	8	1	0	0	3	27	0	0	0	2	30	0	0	256	ოქმი
43.35.46	18	0	23	0	131	8	0	24	38	0	1	0	0	1	0	1	32	0	0	0	3	27	1	0	185	ოქმი
43.35.47	33	0	9	0	105	6	0	18	44	0	1	1	0	0	2	0	7	0	1	0	1	23	1	0	196	ოქმი
43.35.48	47	0	15	0	245	9	0	19	56	1	1	0	1	0	0	1	28	2	1	0	6	24	2	0	191	ოქმი
43.35.49	20	0	11	0	126	5	0	51	24	0	0	0	1	0	0	1	22	0	0	0	0	21	1	1	170	ოქმი
43.35.50	18	0	23	1	144	6	0	33	22	0	1	0	0	0	0	1	10	0	1	1	0	37	2	0	147	ოქმი
43.35.51	14	0	6	0	50	5	0	16	10	0	0	0	0	0	1	1	34	0	0	0	0	13	0	0	129	ოქმი
43.35.52	17	0	11	0	87	2	0	17	23	1	0	2	0	1	0	0	8	0	0	0	1	22	0	0	146	ოქმი

მექანიკური ქარხნის მეორე სიცოცხლე

პირველივე შესაძლებლობისთანავე გავემართეთ ამ წერილის მოსამზადებლად, რათა თქვენთვის უფრო ვრცლად მოგვეთხრო ხაშურში ერთ-ერთი დიდი ისტორიის მქონე შენობის _ მექანიკური ქარხნის ახალი სიცოცხლის შესახებ. ადგილზე მისულებს ,,სააქციოზო საზოგადოება მექანიკოსის"" დირექტორმა და ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **თემურ ქარსანაშვილმა** გვიმასპინძლა. ბატონ თემურთან ერთად ამ მართლაც ჩვენი რაიონისათვის მნიშვნელოვანი ქარხნის წარსული და აწმყო ერთმანეთთან შევაჯერეთ _ ძველი დროც გავიხსენეთ, ენთუზიაზმი არ დავაკელით ქარხნის სამომავალო გეგმებსაც. მან

ის დრო გაიხსენა, როდესაც ეს ქარხანა განვითარების ზენიტში იმყოფებოდა და გაცხოველებული მუშაობის კვალდაკვალ ტოლს არ უდებდა, როგორც რესპუბლიკის ქარხნებს, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულთ. ახლა აპირებს ძალ-ღონე არ დაზოგოს ქარხნის კვლავ აღორძინებისათვის და იქვე ამატებს, რომ მუშაობა საუკეთესო რეზულტატისათვის გაორმაგებული და გასამმაგებლი ძალებით გაგრძელდება. ვიზიტის დროს უშუალოდ მუშაობის პროცესიც ვნახეთ _ მეტალის მოთვინიერების პროცესი. ისღა დაგვრჩენია, ბატონ თემურს, მის თანამშრომლებსა და ქარხანას წარმატება, წინსვლა ვუსურვოთ, ისინი მეტად სასარგებლო საქმეს შესჭიდებიან და ვიმედოვნებთ, შედეგიც არნახული იქნება.

- ბატონო თემურ, მოგვიყევით მცირე ისტორია ქარხნის შესახებ, როგორც ვიცით, თქვენ

მრავალი წლის განმავლობაში ქარხნის თანამშრომელი ბრძანდებოდით.

– ნამდვილად, მე და მექანიკურ ქარხნას ურთიერთობის მრავალწლიანი ისტორია გვაკავშირებს. 1974 წლიდან ამ ქარხნის თანამშრომელი ვიყავი. 35 წელიწადი კი ქარხნის დირექტორი გახლავართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრივატიზების ფარგლებში, მოხდა თანამშრომლების მიერ აქციების შეძენა. სულ 333 აქციონერი ვართ, მაგრამ აქციების უმეტესი, დაახლოებით, 85 პროცენტი ხუთი ადამიანის ხელშია, მათ შორის მეც ვარ. ადრე საკავშირო დაქვემდებარების ქარხანა იყო ახლა კი კერძო საკუთრებაა. შესაბამისად, ძველი სახელწოდება შეიცვალა და ახლა მას ,,სააქციოზო საზოგადოება მექანიკოსი" ჰქვია.

- თუ გავავლებთ პარალელებს, რას აწარმოებდა ეს ქარხანა წლების წინ და რას აწარმოებს დღეს?

– გასულ წლებში ამ ქარხანაში ვაწარმოებდით თევზმჭერი გემებისათვის გადამამუშავებელ მანქანა-დანადგარებს, რომელიც საშუალებას იძლეოდა თევზი სრულყოფილად გადამუშავებულიყო. შემდეგ შევეჭიდეთ ჩაის მრეწველობასაც, ვუშვებდით ჩაის საშრობ დანადგარებს. ამჟამად, მეტალის კონსტრუქციებს ვამუშავებთ, ქვიშის და მარგანეცის გადამამუშავებელ მანქანა-დანადგარებს,ვამზადებთ ცხაურებს,რომლის მოცულობა იწყება 0,5 მილიმეტრიდან. სხვათაშორის, თავდაცვის სამინისტოს ჩვენ დავუმზადეთ ქვიშის გადასამუშავებელი ხაზი ორი წლის წინათ.

- მოგვიყევით სარეალიზაციო ბაზარზე, ძირითადად ვინ არის თქვენი მომხმარებელი?

– ჩვენი წარმოებით მთლიანად რესპუბლიკას ვამარაგებთ, ცხადია, სარეალიზაციო ბაზარიც საკმაოდ ფართოა. მაგალითად, ჩინური კომპანიისათვის, გზებისათვის საჭირო და შესაბამისი კონსტრუქციები დავამზადეთ, რომლის ღირებულება დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი იყო. რკინიგზისთვისაც გავწიეთ გარკვეული სამუშაოები, დავამზადეთ მატარებლებისათვის და ელმავლებისათვის ხუნდები, ასევე, რელსების სამაგრი დეტალები. სხვათაშორის, ხარაგაულში, გარდაბანში, ტყიბულში ნაგვის დიდი, მეტალის ურნები ჩვენი გაკეთებულია. რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს, მათთვის დავამზადეთ პატარა, მწვანე ნაგვის ურნები და მოგვიანებით, შეკვეთა მივიღეთ სპეციალური ურნების დამზადებისა, რომელიც განკუთვნილი იქნება პოლიეთილენის ჩასაყრელად. აქვე დავამატებ, რომ დღევანდელი, ცენტრალური პარკის რკინის გალავანი, ფეხბურთის მოედანი და ტრიბუნა ჩვენი გაკეთებულია.

- როგორ ხდება თქვენს მომხმარებლებთან ურთიერთობა, ხელშეკრულების საფუძველზე თუ ტენდერებში მონაწილეობთ?

–ნაცადი და გამართლებულია ორივე, ვმონაწილეობთ, როგორც ტენდერებში, ასევე ხელშეკრულების საფუძველზეც ვურთიერთობთ. მაგალითად, ჩინურ კომპანიასთან ხელშეკრულების საფუძველზე ვითანამშრომლეთ, რაც შეეხება ნაგვის ურნების დამზადებას, აქ უკვე ტენდერში გავიმარჯვეთ.

- ბატონო თემურ, თქვენი ქარხნისათვის საჭირო დანადგარები ახლებია თუ ძველად შეძენილს იყენებთ, და კიდევ, თქვენი ნაწარმისათვის საჭირო მასალებს საქართველოში იძენთ?

– ყველა ჩვენი საჭირო დანადგარი ახალია და საზღვარგარეთიდანაა შემოტანილი, ძველი დანადგარებიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. რაც შეეხება მასალებს ჩვენი პროდუქციის დასამზადებლად, უმეტესად საქართველოში ვიძენთ, თბილისში არის მეტალობაზარი და ძირითადად იქ ვყიდულობთ: ფურცლოვან რკინას, კუთხოვანებს, "ბალკებს", „შველერებს", და ა.შ. აქ ერთი გარემოებაცაა, თუ საკმარისი დრო გვაქვს, ვცდილობთ, მასალები საზღვარგარეთიდანაც შემოვიტანოთ, ჩინეთიდან ან თურქეთიდან. ტრანსპორტირებას, ხშირ შემთხვევაში, დრო სჭირდება, ზოგჯერ ორი თვეც, შესაბამისად, ტენდერზე მუშაობის პროცესში განსაზღვრული დრო ამის საშუალებას არ გვაძლევს.

- ქარხნების ამუშავებისას ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხის დასაქმება, რამდენი თანამშრომელი გყავთ დასაქმებული?

– ჩვენს ქარხანაში 60 ადამიანია დასაქმებული. ჩემი თანამშრომლების საშუალო ხელფასი 600 ლარია. ისინი მუშაობენ დღეში 8 საათს, შაბათ-კვირას ისვენებენ და, რა თქმა უნდა, კუთვნილ შვებულებებსაც ვაძლევთ. შესაძლებლობა გვაქვს, რომ მივიღოთ დამატებითი ხალხი, გადავამზადებთ მათ, რათა ხელობა საფუძვლიანად შეისწავლონ და,რა თქმა უნდა,ეს ყველაფერი ანაზღაურებადი იქნება. მომავალში ვფიქრობთ გაფართოებას, სასაქონლო წარმოება 15% მოიმატებს, რაც იმის გარანტიაა, რომ დასაქმებულთა რიცხვიც მოიმატებს. ადრე ჩვენი საწარმო ლითონოს ჩამოსხმითაც იყო დაკავებული. ამჟამად, ის დანადგარები აღარ გვაქვს და რუსთავში მივდივართ თუჯის და რკინის ჩამოსასხმელად. გეგმაში გვაქვს ამ ტრადიციის გაგრძელება, აქაც ჩამოვასხავთ. ახლა დავიწყეთ შენობის რეკონსტრუქცია და ჩვენი ძალებით ვცდილობთ სარემონტო სამუშაო მასალების ჩატარებას.

ბავშობაში ამ ქარხანასთან დაკავშირებული მოგონებები დღემდე მომყვება. ჯერ კიდევ პატარა, დედას ხშირად დავყავდი წირვაზე წმ. მარინეს ტაძარში, გზად კი, სწორედ ამ შენობას გავივლიდით, მიტოვებული და საკმაოდ პირქუში შენობიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ჩამსხვრეული ფანჯრიდან შეფრენილი ჩიტების ფრთხიალს ან ჭიკჭიკს თუ გაიგონებდით, მაშინ კი რას წარმოვიდგენდი, რომ აქ ოდესმე სიცოცხლე ჩქეფდა. დღეს კი, ის მუშაობს, ჭიკჭიკის მაგივრად დაზგების ხმა ისმის. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს ხმა უფრო კმაყოფილებას მგვრის. ვფიქრობ, საქართველოში კიდევ რამდენიმე ასეთი ქარხნის არსებობა და ქვეყანა განვითარების სულ სხვა, კიდევ უფრო უკეთეს ეტაპზე გადავა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ქარხანა ძველ დიდებას დაიბრუნებს, ქარხანა, რომელიც მჭირდება მე, გჭირდება შენ, ჭირდება ქალაქს, ქვეყანას, ახალ თაობას.

თ. ახალკაცი

-საპატიო ხაშურელი -

ნინო ქურდაძე: პირველ რიგში, ადამიანი უნდა იყო, მერე შენი საქმის მცოდნე და პროფესიონალი

სახლში ვესტუმრეთ, როგორც ადრე, ბებიის თბილი ღიმილით შეგვიპატიჟა. ნინო ქურდაძეს დღესაც კარგად იცნობენ, ისინი, ვინც კი ექვსი კონტინენტის და ქვეყნების რუკაზე მდებარეობა იცის. 93 წლისაა, აქედან, 59 წელი სკოლას და პედაგოგობას უკავშირდება. სიყვარულით იხსენებენ და მხოლოდ კარგი ახსოვთ მისგან. ხაშურმაც დაუფასა ამაგი, ჩვენი ქალაქის დღესასწაულზე,

საპატიო ხაშურელის სიგელით დააჯილდოვა. დღესაც სიზმრებს ხედავს, სკოლაში აგვიანდება, აღელვებული იღვიძებს, ენატრება, თუმცა, გზა ახალს, მომავალს დაუთმო, დედობა, ბებიობა არჩია. სკოლაში წარმატებული პედაგოგი, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებს იბარებდა გეოგრაფიაში, ესეც ახსოვს ხაშურს, ამასაც სიყვარულით იხსენებენ. არც საკუთარმა, III სკოლამ დაუვიწყა ამაგი, დიდი პატივით მიიღეს და გააცილეს სკოლიდან. ამაზე ვსაუბრობდით, ტკბილად, დამავიწყდა შიში, დღესაც უნებლიედ, მასწავლებლის დანახვისას რომ ვგრძნობ:

–იტრიაში დავიბადე, გლეხის ოჯახში, მამას თვითონ უსწავლია წერა-კითხვა. სოფელში მეორე იყო ჩემი ძმა, რომელიც სასწავლებლად წავიდა თბილისში. დედა იხსენებს, რომ 5 მანეთით გაუშვა სასწავლებლად. მეც ფრიადზე მქონდა სკოლა დამთავრებული, პირველივე წელს ჩავაბარე გამოცდები ინსტიტუტში და ჩავირიცხე გეოგრაფიის ფაკულტეტზე. ფილიპე მახარაძის სტიპენდიანტი ვიყავი, კარგად მახსოვს როგორ ვანაწილებდი სტიპენდიის 45 მანეთს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მივედი განათლების სამინისტროში და ვითხოვე ხაშურში გამოვეშვი სამუშაოდ. მაშინ ხაშურში ქალთა და ვაჟთა სკოლა ცალ-ცალკე იყო, მე გამიშვეს ვაჟთა სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. ეს 1946 წელია, მოსწავლეთა უმრავლესობა, ან ობოლია, ან სახლი არ აქვს, ან საკვები-ასეთ რთულ პერიოდში დავიწყე მუშაობა. ამ პერიოდში გაიხსნა III სკოლა, სადაც შემომთავაზეს სამსახური, აქ გავატარე ჩემი ცხოვრების 59 წელი. ჩემი მეუღლეც მასწავლებელი იყო, ერთად შევქმენით ჩვენი და სხვისი შვილების მომავალი.

- ბავშვებთან ურთიერთობას როგორ გაიხსენებთ, როგორი მასწავლებელი იყავით?

–ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო და ამავდროულად ძალიან სპეციფიკურია, უნდა გიყვარდეს ბავშვი, ესაა მთავარი. საკმაოდ მკაცრი მასწავლებელი ვიყავი, ვითხოვდი იმას, რაც გავცემდი მოსწავლეებისთვის. ომი ახალი დასრულებული იყო, რთული პერიოდი იდგა ქვეყანაში, ერთი ფაქტი მახსენდება, მოსწავლე გაკვეთილზე არ დამესწრო, ვუსაყვედურე და მიზეზი ვკითხე, აღმოჩნდა, რომ შიმშილისგან იყო ცუდად და ვერ შეძლო გაკვეთილზე დასწრება, 30 მანეთი მივეცი, რომ ყოველდღიურად ერთი ფუნთუშა მაინც ეყიდა.

- ამდენწლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, რა არის იმისთვის აუცილებელი, რომ წარმატებული და ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი იყო?

–პირველ რიგში, ადამიანი უნდა იყო, მერე შენი საქმის მცოდნე და პროფესიონალი. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ის მნიშვნელოვანია და პატივს სცემ. კათედრაზე რომ ავიდოდი, გადავხედავდი კლასს, შევხედავდი და ვაგრძნობინებდი, რომ მათთან ვიყავი. დღეს ბავშვებმა ინტერესი დაკარგეს სწავლის, სხვა ფორმით, უფრო მარტივად ნახულობენ შემოსავლის წყაროს, განათლების მიღების გარეშე. ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს, ჩვევად უნდა ექცეს სწავლა. აქ მნიშვნელოვანია, სკოლის და მშობლის თანამონაწილეობა, ჩართულობა.

- იმ მოსწავლეებს თუ გაიხსენებთ, რომლებიც წარმატებული მოქალაქეები არიან?

–ჩემი შვილიშვილით დავიწყებ. კომპიუტერი ჯერ კიდევ ახალი შემოსული იყო, როდესაც საქართველოს მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, 27 000 ლარის ღირებულების კომპიუტერები გადასცეს და მისი სახელობის კაბინეტი გახსნეს სკოლაში. ახლა წარმატებული ექიმია, ძალიან ბევრის გახსენება შემიძლია, რომლებიც ახლა საზოგადოებრივ საქმეს ემსახურებიან და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებენ.

- სკოლა არ გენატრებათ?

–2005 წელი იყო, სკოლიდან რომ წამოვედი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სკოლას უკავშირდებოდა, გავაცნობიერე, რომ დრო იყო, ადგილი სხვისთვის დამეთმო, ახალი ენერგიისთვის. ეს გავაცნობიერე თუარა და ვთქვი, რომ სკოლაში აღარ წავიდოდი, თითქოს აღარ გამჭირვებია. 2003 წელს, ჩემმა მშობლიურმა სკოლამ, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო და საპასუხისმგებლო წლები გავატარე, 80 წლის იუბილე აღმინიშნა, სადაც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა გადმომცა მასწავლებლის უმაღლესი ჯილდო, გოგებაშვილის მედალი. დღესაც ძალიან სასიამოვნო და ამაღელვებელია ამის გახსენება ჩემთვის.

- სულ შრომას და აქტიურ ცხოვრებას მიჩვეულს, არ გაგიჭირდათ სახლში ყოფნა?

–უსაქმოდ არასდროს ვარ, წიგნებს ვკითხულობ, პატარა ბაღი მაქვს, სადაც ყოველდღიურად ვსაქმიანობ, ხილი მაქვს, ბოსტნეული, ზამთრისთვის ვინახავ.

ჩამოვივლი ეზოში, მეორე დღისთვის საქმეს რომ ვნახავ, ბედნიერი ვარ და იმედით ვათენებ დილას.

- რას ნიშნავს თქვენთვის საპატიო ხაშურელის ჯილდო?

–ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ჯილდო. სხვა ქვეყნის, სხვა ქალაქის ჯილდო რომ მოეცათ, ასეთი სასიამოვნო არ იქნებოდა. ზოგი ოჯახის თაობებს ვასწავლიდი, ახლა მხვდებიან და დიდ სიყვარულს და სითბოს გამოხატავენ, ესაა ჩემთვის სტიმული, ვგრძნობ, რომ ჩემს მონდომებას და ამაგს უკვალოდ არ ჩაუვლია. ესაა ჩემი ქალაქისგან სამადლობელი. ერთი დამრჩა სათქმელი ჩემი ყოფილი მოსწავლეებისათვის, რომლებთან ერთადაც გავლიე წლები, მინდა მათი მომავალი დავლოცო, ესაა ჩემი სურვილი და ლოცვა.

სიხარულით გვიყვებოდა თავის ცხოვრებაზე, შრომით შექმნილ ოჯახზე, წლებზე, რომლებიც ბავშვების სიყვარულში გალია. როცა ხაშურის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს, სამადლობელ სიტყვაში, მთავარია, ქვეყნის წინსვლა და ერთიანობა არ დამვიწყებიაო-გვითხრა. ბედნიერები ვართ, რომ იმ ქვეყნის, იმ ქალაქის შვილები ვართ, ვისაც ქალბატონი ნინოს მსგავსი მასწავლებლები, დედები, ბებიები და ქართველი ქალები ზრდიდნენ. კიდევ მრავალი წელი გეცხოვროთ და გეზეიმოთ სიცოცხლე თქვენი აღზრდილებისგან გაბრწყინებულ საქართველოში. ჩვენი სურვილი ეს იქნება!

თ. ჯავახიშვილი

პირველადი დახმარება გაჭირვებულ მრავალშვილიანებს

4 ოქტომბერს, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონულმა განყოფილებამ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს პირველადი დახმარების სახით, საყოფაცხოვრებო ნივთები გადასცა. შიდა ქართლის მასშტაბით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ყველაზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობს აღნიშნული დახმარებით. აღნიშნულ პროგრამაზე სოციალური სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების უფროსს, **გოჩა ბარბაქაძეს**

ვესაუბრეთ:

–ესაა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარება. პირველად დახმარებაში იგულისხმება, ის ნივთები, რომლებსაც ოჯახი საჭიროებს. ესენია:. ბავშვთა საწოლები, მაცივარი, სარეცხის მანქანა, სხვადასხვა სასურსათო პროდუქტები, სასწავლო ნივთები და ა. შ. 1000 ლარის ფარგლებში, შერჩევა იმის მიხედვით ხდება, თუ რისი აუცილებლობა აქვთ ოჯახში. ბენეფიციარების შერჩევა(რომლებიც უკვე ფიქსირდებიან ჩვენს ბაზაში) ჩვენი სოციალური მუშაკების მიერ ხდება შემოსული განცხადების საფუძველზე. ვაყენებთ შუამდგომლობას, ხდება განხილვა და ეტაპობრივად ვაკმაყოფილებთ ოჯახებს. ეს პროგრამა 2014 წლიდან დაიწყო, ეს არის მართლაც კარგი შესაძლებლობა ასეთი ტიპის ოჯახების დასახმარებლად. დღეს, 10 ოჯახი დავაკმაყოფილეთ საკვები პროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით. 6 ოჯახი დავაკმაყოფილეთ სარეცხი მანქანით და ჭურჭლით, 4 ოჯახი ბავშვის საწოლებით, მაცივრით, სხვადასხვა მოხმარების ნივთებით. პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტ ოჯახს დავეხმაროთ და შევუმსუბუქოთ არსებული სოციალური მდგომარეობა.

წარმატებული ფერმერი ქველმოქმედებაში ჩაება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ფერმერ ზაზა სუხიაშვილზე ვწერდით, რომელსაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე ვესტუმრეთ და კვირტობაში შესული ვაშლის ინტენსიური ბაღი ვნახეთ, რამდენიმე ხნის წინ კი, უკვე მსხმოიარე ბაღი. აქვე, დავაანონსეთ, რომ ბატონი ზაზა მცირე ქველმოქმედებას აპირებდა. მან საკუთარ ბაღში, საკუთარი ხელით დაკრეფილი ვაშლი ხაშურის ორ მცირე ბავშვთა საოჯახო სახლს საჩუქრად გადასცა, სადაც 20-მდე ბავშვი ცხოვრობს. ბავშვებმა დიდი სიხარულით მიიღეს საჩუქარი. არ აქვს მიშვნელობა რაოდენობას, მთავარია, გინდოდეს, რომ სხვასაც შენი წილი ბედნიერება აჩუქო და გახსოვდეს, რომ დედამიწაზე არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც უბრალოდ ღიმილსაც ბედნიერების მოტანა შეუძლია, ჩვენ ეს შეგვიძლია, ბატონი ზაზაც ერთ-ერთი იმათგანია-ვისწავლოთ ცხოვრება კარგ მაგალითებზე!

ხაშურელი სპორტსმენების ხვავიანი შემოდგომა

სექტემბრის ბოლოს, ფოთში, სამბოში, ჩატარდა ცნობილი სპორტსმენის ზურაბ ტუღუშის სახელობის ტურნირი, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. ჭაბუკებმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზეს. ოთხი ჩემპიონი, ერთი მეორე და ხუთი მესამე ადგილოსანი – ასეთია მათი მონაგარი.

ჩემპიონობა იზეიმეს: **გიორგი ნოზაძემ** (31 კგ.), **გიორგი მეხრიშვილმა** (42 კგ.), **ნოდიკო ბუხრიკიძემ** (55 კგ.) და **გიორგი ნასყიდაშვილმა** (60 კგ.).

მეორე ადგილზე **ზურაბ ხაჩიძე** გავიდა (42 კგ).

ბრინჯაოს მედლები კი **დავით ხაჩიძემ** (38 კგ.), **ნიკა ბლიაძემ** (50 კგ.), **ზაზა დვალიშვილმა** (66 კგ.), **მურმან ნინიაშვილმა** (72 კგ.) და **ვახტანგ ლაბაძემ** (60 კგ.) მოიპოვეს.

პარალელურად, ონში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩატარდა მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორის იოსებ ბერიშვილის სახელობის ტურნირი. აქ ჩვენმა ჭაბუკებმა ორი მესამე ადგილი აიღეს – **ზაზა ჩადუნელმა** (32 კგ.) და **ჩუქა გელაშვილმა** (54 კგ.).

ჩვენს ჭაბუკებს არც სიღნაღში შეურცხვენიათ თავი. აქ ქართულ ჭიდაობაში ცნობილი ვეტერანი სპორტსმენის ზაზა ყარაბელაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა, 2003-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ჩვენი ჭაბუკების მონაგარი ასეთია: **დავით ხაჩიძე** (34 კგ.) – I ადგილი, **ბესო ნოზაძე** (46 კგ.) –I ადგილი, **გიორგი ნოზაძე** (34 კგ.) – II ადგილი, **ჯემალ ბეჟანაშვილი** (40 კგ.) – III ადგილი, **გიორგი ღამბაშიძე** (50 კგ.) –III ადგილი.

ძიუდოისტებმა ბოლნისში, საბა დიდვანის სახელობის ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, სადაც **თემურ სულაბერიძემ** (30 კგ.), **როინ გელაშვილმა** (42 კგ.) და **გიორგი ღამბაშიძემ** (66 კგ.) მეორე ადგილები, ხოლო **ბექა ნოზაძემ** (30 კგ.) და **გიორგი ნოზაძემ** (32 კგ.) მესამე ადგილები დაიკავეს.

საგარეჯოში კი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ვასილ ლაფაჩაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ამ ტურნირზე, რომელშიც სომხეთის, აზერბაიჯანის და ტაჯიკეთის ჭაბუკი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, **საბა ჩილაშვილმა** (70 კგ.) ვერცხლი, ხოლო **გიორგი ჩაჩანიძემ** (42 კგ.) და **ზურა გოგოლაძემ** (70 კგ.) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აღნიშნული შეჯიბრებებისთვის ნაკრები გუნდები მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა: **პ. ბუხრიკიძემ, მ. მახარაშვილმა, ა. მამულაშვილმა, მ. ნოზაძემ, კ. ლომიძემ, მ. მჭედლიძემ, ბ. ხარშილაძემ** და **ო. ლომიძემ.**

თ. მაღალდაძე,
სასპორტო სკოლის კოორდინატორი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.